



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31222733
თარიღი: 30/09/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის სპარტაკ კვაჭაძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული - ლანჩხუთი

შეხვედრის ჩატარების თარიღი - 29.09. 2022 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის მოადგილე კარლო წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სპარტაკ კვაჭაძე მიესალმა მოწვეულ სტუმრებს, და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილების 131-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია ამომრჩეველს ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დეპუტატის მანდატი სპეციფიური ხასიათისაა, რომელიც ითვალისწინებს, როგორც საკრებულოში ძირითადი კანონმდებლობის მოწესრიგების უზრუნველყოფას, ასევე შუალედურ როლს ასრულებს მოსახლეობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

დეპუტატმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2021 წლის დეკემბრის თვემდე შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა სულ 2210527 ლარი, 2022 წლის ივნისის თვემდე-168473 ლარი. ასევე სოფლებში ქვიანში, მოედანში და ბაღლეფში მოხდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია; ქალაქის, გვიმბალაურის

ღრმადელის, ჩოჩხათის, ლესის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოხდა დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია; ქალაქის ტერიტორიაზე ჩატარდა მდინარის კალაპოტის და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები; ყოფილი რედაქციის შენობაში გარემონტდა ოთახები; ქალაქის ტერიტორიაზე ებრალების ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები; ასევე მოხდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საფარის მოწყობა, ქალაქის ტერიტორიაზე შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ქალაქის ტერიტორიაზე მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სოფლებში ნაპირსამაგრების მოწყობა. ასევე ჩატარდა კრებებზე მოსახლეობის მიერ დაყენებული წინადადებების საფუძველზე სოფლის პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოები და ა.შ.

დეპუტატმა **სპარტაკ კვაჭაძემ** ისაუბრა აგრეთვე მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური სამსახურის მიერ გაცემულ დახმარებებზეც. კერძოდ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისთვის გამოიყო თანხები, რომ მომხდარიყო მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა, ასევე მოხდა სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება, 18 წლამდე დედ-მამით ობოლი და აგრეთვე ობოლი შშმ ბავშვების ერთჯერადად სოციალური ფულადი დახმარებების გაცემა, ომის მონაწილე ვეტერანების და მათი ოჯახების ფულადი დახმარება. მან ასევე აღნიშნა, რომ ბევრი შეჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახი საჭიროებდა დახმარებას და მათი მომართვისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე მოხდა მათზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა, ასევე დაფინანსდა იძულებით გადაადგილებული პირებიც, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსი, მოხდა უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება და ა.შ.

დეპუტატმა ასევე ისაუბრა სოფლებში: ეწერში, ჯურუყვეთსა და ბაღლეფში განხორციელებულ და უახლოეს მომავალში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე. კერძოდ განმარტა, რომ მიმდინარე წელს სოფელ ბაღლეფში დასრულდა ხიდის მშენებლობა, ასევე სამივე სოფელში დაწყებულია წყლის სისტემის მოწყობა, რომლის შედეგადაც მოხდება ყველა ოჯახის წყლით უზრუნველყოფა. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ ჯურუყვეთში მოხდება N1 საჯარო სკოლის შენობის დაშლა და ახალი, თანამედროვე სტანდარტების შენობის აშენება.

შეხვედრის ბოლოს საკრებულოს წევრმა **სპარტაკ კვაჭაძემ** მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და აღნიშნა, რომ მისი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმუმს გააკეთებს იმისთვის, რომ მოგვარდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აწუხებს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალური კუთხით.

პატივისცემით,

სპარტაკ კვაჭაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მოადგილე